შეთანხმება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული არქივს შორის 2014 წლის 10 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №286 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე

№ 8/286
01 08 14
2

ქ. ზუგდიდი *01 აგვისტო, 2014 წელი*

ერთის მხრივ, ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტი*** (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას სახით და მეორეს მხრივ, ***საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული არქივი*** (შემდგომში „შემსრულებელი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს – ზუგდიდის ადგილობრივი არქივის დირექტორის, მილენა თორიას სახით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს შესახებ და „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების მუნიციპალიტეტეტების შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №515 განკარგულების საფუძველზე, „მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №363 დადგენილების შესაბამისად, ზუგდიდის ახალი მუნიციპალიტეტისთვის გაუქმებული მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებების გადანაწილებასთან დაკავშირებით, უფლებამონაცვლე ახალი მუნიციპალიტეტის დასახელების, ხელმოწერეზე უფლებამოსილი პირის, საგადასახადო და საბანკო რეკვიზიტების გათვალისწინებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული არქივს შორის 2014 წლის 10 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №286 ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება") შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები:

ა) შეიცვალოს ხელშეკრულების პრეამბულა და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

- ერთის მხრივ, ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტი*** (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას სახით და მეორეს მხრივ, ***საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული არქივი*** (შემდგომში „შემსრულებელი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს – ზუგდიდის ადგილობრივი არქივის დირექტორის, მილენა თორიას სახით სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება") შემდეგზე.

ბ) სახელშეკრულებო ღირებულება, ვალდებულებების გადანაწილების გათვალისწინებით განისაზღვროს ***3687,64 (სამიათასექვსასოთხმოცდაშვიდი ლარი და 64 თეთრი)*** ლარის ოდენობით.

ბ) ხელშეკრულებაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რეკვიზიტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, იურიდიული მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, საიდენტიფიკაციო ნომერი: 220416967, მომსახურე ბანკის დასახელება: სს „ლიბერთი ბანკი," საბანკო ანგარიშის ნომერი: GE13LB0120111405438000, ბანკის კოდი: LBRTGE22.

2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.
3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 2 (ორი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან," ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს."
4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90 საინდენტიფიკაციო კოდი: ***220416967*** საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE13LB0120111405438000	*საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული არქივი* იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა–ფშაველას ქ. №1 საინდენტიფიკაციო კოდი: ***211358957*** საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE03LB012116010532700
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი: ……/ე. თოლორაია/	*საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ზუგდიდის ადგილობრივი არქივის დირექტორი:* ……/მ. თორია/